დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“დირექტორის
2020 წლის 17 ივნისის N01-4/23 ბრძანებით
ბოლო ცვლილება: N01-4/230 (16.12.2024) ბრძანებით

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი" სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც ეხება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, ასევე ითვალისწინებს სტუდენტთა შეფასების სისტემას, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდგომში „მინისტრი“) ბრძანებებით, კოლეჯის წესდებითა და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიხედვით.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. კოლეჯი აპლიკანტებს რიცხავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
2. მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ;
3. სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით და პირობებით“ და ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის №01-04/122 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესი“.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემები შეიტანება „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის 11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ შესაბამისად;

მუხლი 3. (ამოღებულია)

მუხლი 4. (ამოღებულია)

მუხლი 5. (ამოღებულია)

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია პირადი განცხადება მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზნით სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობითი განცხადებით (მიზეზის მითითებით) მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვოს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას .
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.
6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, კოლეჯი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.
7. პირს, პროფესიული სტუდენტის სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. აღნიშნულ ვადაში პირის (კანონიერი წარმომადგენლის) მიერ სტუდენტის სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან, რა ეტაპზეც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
9. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, პროფესიული სტუდენტი მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად.

მუხლი 7 . პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
   ა) პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
   ბ) პროგრამის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება;
   გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;
   დ) იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძვლად დაედო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას;
   ე) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
   ვ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;

ზ) გარდაცვალება;
თ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის (გარიცხვა) გამოყენება;
ი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 30 პროცენტზე მეტის გაცდენა;

2. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში არ გამოცხადებულა ლექციებზე, არ შეუტყობინებია გაცდენის მიზეზი და ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს განცხადებით, ამოირიცხება ჯგუფიდან და შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც არ ან ვერ გაიარა კოლეჯის მიერ მისთვის გამოყოფილ ადგილზე საწარმოო პრაქტიკა, ან არ იცავდა და არღვევდა საწარმოო პრაქტიკის განრიგსა და ქცევის წესებს, შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს, უფლებამოსილი თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (გარდა ამ მუხლის ,,ა“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა).

4[1]. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემები შეიტანება „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის N11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ შესაბამისად;

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, პროფესიული სტუდენტის მიერ საკონტაქტო საათების 10% - მეტის გაცდენის შემდეგ, კოლეჯი ახდენს სტუდენტის ინფორმირებას (წერილობითი ფორმით), სტუდენტის სტატუსის მოსალოდნელ შეწყვეტასთან დაკავშირებით.
6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისაგან, რომელიც მას წარმოეშვა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. იგი ვალდებულია დაფაროს დავალიანება.
8. ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადების და დირექტორის მოადგილის/ სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დირექტორის მიერ სტუდენტის სტატუსის აღდგენაზე ბრძანების გამოცემის გზით.
2. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აღუდგება პირადი/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, მიმდინარე წელს შესაბამისი პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის იმ ჯგუფში, სადაც შესაძლებელი იქნება სწავლა განაგრძოს იმ ეტაპიდან რა ეტაპზედაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

3. მიმდინარე წელს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, პირს სტუდენტის სტატუსი აღუდგება მომდევნო წელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად. 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემები შეიტანება „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის N11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ შესაბამისად;
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის.

მუხლი 9. მობილობა/შიდა მობილობა

1. მობილობის უფლება (გარე მობილობა, შიდა მობილობა) აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

2. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25%-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

3. (ამოღებულია)

4. მობილობის გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ფორმდება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ – ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

5. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს მიმღებ დაწესებულებას, ხოლო შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს იმავე დაწესებულებას. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა. მობილობის მსურველი პირი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

6. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობაზე უარის თქმის საფუძველი.

7. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორმა შესაძლებელია შექმნას სპეციალური კომისია. განხილვის შედეგებს კომისია აცნობებს დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პირის მობილობის გზით ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

8. სტუდენტთან, რომელმაც მოიპოვა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის უფლება, კოლეჯი აფორმებს ხელშეკრულებას ან შეთანხმებას (სტუდენტთან დადებულ მოქმედ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით).

9. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

10. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

11. კოლეჯი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გარე მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე.

13. ერთი და იმავე მიმართულების სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობის (შიდა მობილობა/გარე მობილობა) შემთხვევაში სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

14. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

    ა) კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

    ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

    გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

15. (ამოღებულია)

16. კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

    ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და კოლეჯს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;
    ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
    გ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

17. მობილობა/ შიდა მობილობა დასაშვებია, თუ დაცულია ამ წესით დადგენილი მობილობის ვადები და არსებობს ადგილი იმ პროგრამაზე, სადაც იგეგმება პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით გადაყვანა;

18. აღიარება ფორმდება დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – იმავე დაწესებულების სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

19. პროფესიული სტუდენტის მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით "პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე".

20. სისტემის მონაცემების საფუძველზე ის დაწესებულება, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში ის დაწესებულება, რომლის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზეც გადადის პროფესიული სტუდენტი, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემები შეიტანება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის N11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების" შესაბამისად;

21. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

22. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლო

მუხლი 10. მიღებული განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების ფარგლებში, აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები, რომელზე ჩარიცხვა

და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. მიღებული განათლების აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს წინმსწრები ფორმალური განათლების აღიარების გზით, რაც გამოიხატება მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით და შესაბამისი კრედიტების მინიჭებით;
3. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებას კოლეჯი ახორციელებს შემდეგ შემთხვევაში:
   ა) პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში;
   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში.
4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისას, შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შეიძლება დადგინდეს ერთი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, მათი ფორმულირების მიუხედავად;
5. პროფესიული სტუდენტის მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისა და შესაბამისი კრედიტების მინიჭების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით იქმნება აღიარების კომისია;
6. კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების აღიარების და შესაბამისი კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით ფორმდება კომისიის ოქმით, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დორექტორს;
7. პროგრამის კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები სტუდენტის მიერ გავლილ პროგრამასა და კოლეჯის პროგრამას შორის;
8. პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების აღიარების და შესაბამისი კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ.

მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.
2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამი შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია:
   ა) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე მიმართულების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;
   ბ) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს.

მუხლი 12. სწავლის ხანგრძლივობა

1. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობით.
2. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.
3. სწავლის პერიოდი შესაძლებელია გახანგრძლივდეს, თუ:
   ა)პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა;
   გ) ადგილი აქვს სხვა ობიექტურ გარემოებას.

მუხლი 13. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყება/დამთავრება, სწავლის დაწყების დრო და არდადეგები რეგულირდება აკადემიური კალენდრით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
2. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელსაც ამზადებს სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და ითანხმებს დირექტორის მოადგილე;
3. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
   - სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება;
   - სასწავლო კურსის/მოდულის განმახორციელებლის სახელი, გვარი;
   - მეცადინეობის დაწყების და დასრულების დრო.
4. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში.
5. სალექციო განრიგი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით და სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.
6. (ამოღებულია)
7. კოლეჯში დაწესებულია ხუთ დღიანი სასწავლო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია სასწავლო დროდ განსაზღვრულ იქნას ასევე შაბათ-კვირა და კანონმდებლობით განსაზღვრული დასვენების დღე.
8. ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ხანგძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი, შესვენება 10 წუთი).
9. პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის მიზნით, კოლეჯში მოქმედებს აღრიცხვიანობისა და შეფასების ელექტრონული ჟურნალი.
10. სტუდენტთა მეცადინეობაზე დასწრებისა და შეფასების აღრიცხვას აწარმოებს პროფესიული განათლების მასწავლებელი;
11. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ შეფასებისა და დასწრების აღრიცხვის ჟურნალის წარმოებაზე კონტროლს ახორციელებს კოლეჯის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა), პროფესიული სტუდენტის საწარმოში გამოცხადება დასტურდება პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალით.

მუხლი 14. სასწავლო პროცესის ორგანიზება სასწავლო პროცესის დისტანციურად/ შერეული ფორმით განხორციელებისას

1. სასწავლო პროცესის დისტანციურად/შერეული ფორმით განხორციელებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები და სტუდენტები კომუნიკაციისათვის სარგებლობენ შერჩეული პლატფორმით, რომლითაც უზრუნველყოფილია სალექციო პროცესის ჩაწერა და შენახვა.
2. ადმინისტრაციის შესაბამისი წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან დაესწრონ სალექციო პროცესის მიმდინარეობას.

მუხლი 15. (ამოღებულია)

მუხლი 16. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი

1. კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.
2. ამოღებულია
2[1]. ამოღებულია
3. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
4. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
5. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
6. სწავლის შედეგის დადასტურება/ვერ დადასტურებას შემფასებელი აღნიშნავს დადასტურების ველში, აწერს ხელს და შედეგს აფიქსირებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების უწყისის ფორმაში.
7. შეფასების უწყისები მოდულის დასრულებიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც ახორციელებს მათ სათანადო შენახვასა და რეგისტრაციას.
8. პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის/მოდულების (თუ მოდული/მოდულები წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის რომელიმე მოდულზე დაშვების წინაპირობას) სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს ამ მოდულის/მოდულების განხორციელების დასრულებიდან არაუმეტეს ერთ კვირაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი/შედეგები. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის/მოდულების სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს უწყდება სტატუსი,
9. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.
10. სსსმ პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
11. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებულია ჩააბაროს შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდა.
12. სტუდენტის ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. შეფასების მტკიცებულებები, შენახული უნდა იქნას შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.
13. აუცილებელი არაა ყველა სწავლის შედეგი ცალ-ცალკე შეფასდეს. შესაძლებელია შეფასდეს რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად ან ყველა ერთად - მოდულის ბოლოს. აღნიშნული უნდა აღიწეროს მოდულის მტკიცებულებების შეგროვების ნაწილში.

14. შეფასების მტკიცებულებების სათანადო წესით აღრიცხვასისა და შენახვას კონტროლს ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მოადგილე;

15. მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.

მუხლი 17. პროფესიული სტუდენტის შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების (აპელაციის) პროცედურა

1. მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების უფლებით;
2. პროფესიული სტუდენტი, შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით, წერილობითი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს არაუგვიანეს შედეგების გაცნობის დღისა.
3. პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი იმავე დღეს ქმნის სააპელაცო კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიან: დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები;
4. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილების წარმოშობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.
5. შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია ვალდებულია მიიღოს ერთ–ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილება:
   ა) შეცვალოს შეფასება პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ;
   ბ) დატოვოს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება ძალაში, თუ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია.
6. პროფესიულ სტუდენტს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე.
7. განცხადების განხილვის შედეგად, სააპელაციო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამის შეფასების დამატებით უწყისში.

მუხლი 18. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

1. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის პრეროგატივას, საკვალიფიკაციო კომისიის ოქმის საფუძველზე.

2. კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა მისი დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი.

3. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავის შედეგები, პროფესიულ სტუდენტს ენიჭება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომი.

4. პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

5. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებში მიღებული შედეგების, სტუდენტის შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის და საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული შეფასების საფუძველზე;

6. საკვალიფიკაციო კომისია თავის გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ასახავს ოქმში.

7. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის ოქმი ხელმოწერიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წარედგინება კოლეჯის დირექტორს

8. კოლეჯის დირექტორი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის ოქმის საფუძველზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტ(ებ)ისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

9. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 19. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

1. კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

2. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში მათი სრულყოფილი ინტეგრირების მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს საჭირო ადამიანური რესურსის (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, გადაადგილების მხარდამჭერი, სპეციალური მომვლელი) მოძიებას და საგანმანთლებლო პროცესში ჩართვას;

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის კოლეჯი უზრუნველყოფს როგორც საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას, ასევე სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით.

4. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტთათვის ისეთი საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის მიზნით, როგორიცაა დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა (მაგ: სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის, CCTV აპარატი და ა.შ.), კოლეჯი ახორციელებს მათ შეძენას, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

5. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ ხორციელდება სასწავლო რესურსების ადაპტირება, რაც გულისხმობს ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივ ან ვიზუალურ ადაპტირებას.

6. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური

სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაცია, როდესაც შინაარსობრივად ან რაოდენობრივად იცვლება სწავლის შედეგები, გამორიცხავს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებას. აღნიშნულ შემთხვევაში კოლეჯის მიერ გაიცემა სერტიფიკატი, მხოლოდ იმ მოდულების ფარგლებში, სადაც სწავლის შედეგები უცვლელად იქნა შენარჩუნებული. იმ მოდულებთან დაკავშირებით, სადაც განხორციელდა სწავლის შედეგების ან კრიტერიუმების შეცვლა, კოლეჯი მოთხოვნის შემთხვევაში გასცემს შესაბამის ცნობას.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დოკუმენტია, რომლის საშუალებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტის სწავლის პროცესი მორგებულად იმართება კონკრეტული მოდულისა თუ სასწავლო კურსის ფარგლებში. მასში განსაზღვრულია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და სწავლის შედეგები.

9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

10. მოდულის დაწყებიდან გონივრულ ვადაში მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროების/საჭიროებების შესახებ.

11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.

12. დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულე.

13. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ მტკიცდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის და სხვა საჭიროებების შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

15. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულ

ქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

მუხლი 20. დისკრიმინაციის აკრძალვა

1. კოლეჯი უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის.
2. აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.
3. ამ წესის მიზნებისთვის დისკრიმინაცია არის განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის (სტუდენტის, მსმენელის, აპლიკანტის, კურსდამთავრებულის) განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.